

# ქართული

# 1

2018-2022 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებისა და ინდიკატორების მიხედვით

## ტესტების რვეული

ლელა ქეშელაშვილი
ელენე კიკალიშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| ტესტი 1 | ქართ.I.6.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა. | 5 |
| ტესტი 2 | ქართ.I.7.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება. | 9 |
| ტესტი 3 | ქართ.I.7.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება. | 14 |
| ტესტი 4 | ქართ.I.8.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით. | 20 |
| ტესტი 5 | ქართ.I.9.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება. | 24 |

| | | |
|---|---|---|
| ტესტი 6 | ქართ.I.10.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა. | 26 |
| ტესტი 7 | ქართ.I.11.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება. | 33 |
| ტესტი 8 | ქართ.I.12.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად. | 36 |
| ტესტი 9 | ქართ.I.13.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე. | 39 |
| ტესტი 10 | ქართ.I.14.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა. | 43 |
| ტესტი 11 | ქართ.I.15.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად. | 47 |

# ტესტი 1

**1.** მონიშნე ბგერებად სწორად დაშლილი სიტყვა.



ა. ნავი ⟶ ნ ა ვ ი

სწორია ☐

არასწორია ☐

ბ. თხა ⟶ თ ა ხ

სწორია ☐

არასწორია ☐





გ. ბიჭი ⟶ ბ ი ჭ ი

სწორია ☐

არასწორია ☐

**2.** ასოებისგანააწყვე სიტყვები.

ა. ე მ ზ

ბ. ე ხ

**3.** მარცვლების შეერთებით შეადგინე სიტყვები.

| | | | |
|---|---|---|---|
| მა | და | პუ | მე |
| დე | ლი | თვა | რი |
| სახ | მა | ღა | ლი |



**4.** გადახაზე განსხვავებული სიტყვები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა. | ნავი | ~~თონე~~ | ძაფი | ნავი | ~~ღონე~~ | ძაფი |
| ბ. | კეფა | თოფი | ხმა | კეფა | თოფი | ძმა |
| გ. | შოთი | შიში | გემი | შოთი | შაშვი | გემი |
| დ. | კარი | ღარი | ხარი | ქარი | ღარი | ხარი |

**5.** ჩაწერე გამოტოვებული ასოები.




**6.** მარცვლების დამატებით მიიღე ახალი სიტყვა.

თი — ხა     სა — ◯

თი — ◯     სა — ◯ — ◯

თი — ◯     სა — ◯ — ◯

**7.** იპოვე და შემოხაზე ყველა მ და ყველა ბ.

მატარებელი     ობობა     დედამიწა

ბამბა     ბამბუკი

მხალი     მაიმუნი     ნაბადი

**8.** სიტყვებში იპოვე წ და ხაზი გაუსვი.



ზამთრის მიწურულს ხე ცოცხლდება. მისი ღონიერი ფესვები დედამიწიდან წყალს შეიწოვს. წვრილი ტოტები ფოთლებით შეიმოსება.

**9.** შემოხაზე სიტყვები, რომლებიც იწყება მარცვლით ზო.

ზოდი ზომა ზვავი

ზვინი ზოოპარკი

**10.** იპოვე და დაწერე წინადადებების საერთო სიტყვა.

ა. თასი ნინისია. მისი თასი ხისაა.

ბ. ამ ბიჭს ნიკა ჰქვია. ნიკა ბეჯითია.
ექვსი წლის ნიკა სკოლაში დადის.

მასწავლებლისთვის

მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

# ტესტი 2

**1.** ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და მონიშნე სწორი პასუხი.

## ბოროტისათვის სიკეთე

თოვლიანი ზამთარი იყო. პავლეს წისქვილში ხორბალი ჰქონდა წასაღები, მაგრამ წინა დღეს ტყეში მარხილი გადაუბრუნდა და გაუტყდა. პავლემ მარხილი თავის მეზობელს სთხოვა. მეზობელმა ცივი უარით გაისტუმრა.

გავიდა რამდენიმე დღე. პავლეს მეზობელს შეშა ჰქონდა დასახერხი და ხერხი დასჭირდა. მივიდა და მორიდებით სთხოვა პავლეს. პავლემ იმწამსვე გამოურბენინა ხერხი და მიხმარებაც შესთავაზა. მეზობელი სირცხვილით დაიწვა. სთხოვა პავლეს, ეპატიებინა მისთვის ცუდი საქციელი და უთხრა:

– დღეიდან შენი ერთგული მეზობელი ვიქნები.



ა. როგორი ზამთარი იყო?

**თოვლიანი** **ქარიანი**

**წვიმიანი** **მზიანი**

ბ. ვის გაუტყდა მარხილი?

**ივანეს** **პავლეს**

**შაქროს** **პეტრეს**

გ. როდის გატყდა მარხილი?

**ერთი წლის წინ** **მომდევნო დღეს**

**წინა დღეს** **ერთი კვირით ადრე**

დ. სად გატყდა მარხილი?

**ეზოში** **მინდორში**

**ვენახში** **ტყეში**

**2.** წაიკითხე წინადადებები და შემოხაზე, სწორია თუ არასწორი.

ა. ამ მოთხრობის სათაურია „ზარმაცი გიგო“.

**სწორია** **არასწორია**

ბ. პავლეს წისქვილში ხორბალი ჰქონდა წასაღები.

**სწორია** **არასწორია**

გ. პავლემ დახმარება თავის ძმას სთხოვა.

**სწორია** **არასწორია**

დ. პავლეს მეზობელს შეშა ჰქონდა დასახერხი.

**სწორია** **არასწორია**

ე. მეზობელმა პავლეს ხერხი დაუკითხავად აიღო.

**სწორია** **არასწორია**

**3.** როგორი ადამიანი იყო პავლე? შესაფერისი თვისებები ხაზით დააკავშირე ნახატთან.

მხიარული

ზარმაცი



კეთილი

შურიანი

**4.** კარგი საქციელი მონიშნე ✓-ით, ცუდი საქციელი – ✗-ით.

ა. პავლე მეგობრული ადამიანი იყო. ___

ბ. პავლე მეზობელს დაეხმარა. ___

გ. მეზობელმა პავლე ცივი უარით გაისტუმრა. ___

დ. პავლეს მეზობელმა ბოდიში მოუხადა. ___